2021

საქართველოს პროკურატურის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე

საქართველოს პროკურატურის ანგარიში
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის
სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე
2021 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის ანგარიშს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის“ შესრულების თაობაზე.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტი „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე", საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტია.

2021 წელს საქართველოს პროკურატურამ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა.

გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა უფლებების დაცვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მომზადდა და გენერალურ პროკურორს დასამტკიცებლად წარედგინა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის“.

სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მჭიდრო კოორდინაცია მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან. დოკუმენტში აისახა რელევანტური შენიშვნები და მოსაზრებები. სამოქმედო გეგმის ძირითად მიზნებს შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და დისკრიმინიციისაგან დაცვა, შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგი განახორციელა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ, ხოლო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშგებას ახდენს საქართველოს გენერალური პროკურორის, ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წინაშე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილის სახით.

საქართველოს პროკურატურის ანგარიში შშმ პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე			
მიზანი 1.	**შშმ პირთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**		
ამოცანა 1.1.	შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება		
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2020) საქართველოს პროკურატურაში პროკურორების, პროკურატურის გამომძიებლებისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის დანერგილია სასწავლო პროგრამა შშმ პირთა	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2021)** შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენინგ-მოდული ხელმისაწვდომია სტაჟიორებისთვის	**შესრულების პროგრესი: შესრულდა** შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენინგ-მოდული ხელმისაწვდომია სტაჟიორებისთვის.

	უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე.		
	საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე ჯამში 11 ტრენინგის შედეგად გადამზადებულია 188 თანამშრომელი.	შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ პროკურორთა/გამომძიებელთა/სტაჟიორ-პროკურორთა/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა რაოდენობა გაზრდილია	**შესრულდა** 2021 წლის მონაცემით, საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე ჯამში 14 ტრენინგის შედეგად გადამზადებულია 225 თანამშრომელი.
	2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურაში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებულია 136 თანამშრომელი (36 მენეჯერი, 81 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 19 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი)	შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში სპეციალიზებული პროკურორებიდან და გამომძიებლებიდან შშმ ნიშნის იდენტიფიცირების თემაზე გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია	**შესრულდა** 2020 წლის მდგომარეობით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში სპეციალიზებული პროკურორებიდან და გამომძიებლებიდან შშმ ნიშნის იდენტიფიცირების თემაზე გადამზადებულია 94 თანამშრომელი: 52 პროკურორი და გამომძიებელი, 24 მენეჯერი, 18 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი; 2021 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში სპეციალიზებული პროკურორებიდან და გამომძიებლებიდან შშმ ნიშნის იდენტიფიცირების თემაზე დამატებით გადამზადდა პროკურატურის 34 თანამშრომელი: 16 მენეჯერი, 18 პროკურორი და გამომძიებელი. საერთო ჯამში გადამზადებულია 128 თანამშრომელი.

აქტივობა 1.1.1.	შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის/მენეჯერებისთვის/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის 2 ტრენინგის ჩატარება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებულია 2 ტრენინგი სულ მცირე 30 თანამშრომლის მონაწილეობით	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2021 წელს, საქართველოს პროკურატურისა და გაეროს განვითარების ფონდის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის თემაზე 2 ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც 36 პროკურორი და პროკურატურის მენეჯერი იღებდა მონაწილეობას. დამატებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - მრავალმხრივი მიდგომები და წინაპირობები შეზღუდული შესაძლებლობის სფეროს ინკლუზიური განვითარებისთვის. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო უწყებების, მათ შორის პროკურატურის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შეზღუდული შესაძლებლობების შეფასება და რეფერირების სერვისები, შშმ პირთა ჩართულობა, სექტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.			
აქტივობა 1.1.2.	შეუწყნარებლობის მოტივით (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) ჩადენილი დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით 2 ტრენინგის ჩატარება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შეუწყნარებლობის მოტივით (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) ჩადენილი დანაშაულის თემაზე ჩატარებულია 2 ტრენინგი სულ მცირე 30 სპეციალიზებული პროკურორის/ პროკურატურის გამომძიებელის მონაწილეობით	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			

ინფორმაცია შესრულების შესახებ	2021 წელს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებში სპეციალიზებული პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, შშმ პირების თემაზე ჩატარდა 2 სასწავლო აქტივობა. გადამზადდა პროკურატურის 36 თანამშრომელი. 2021 წელს საქართველოს პროკურატურაში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დაინერგა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სპეციალიზაცია. გადამზადდა 5 ჯგუფი, მათ შორის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულში სპეციალიზებული 52 პროკურორი, პროკურატურის მენეჯერი და გამომძიებელი. სწავლება სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოიცავდა შშმ პირების მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების სპეციფიკას.			
აქტივობა 1.1.3.	შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენინგ-მოდულის ინტეგრირება პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელ სასწავლო კურსში			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გასავლელად შერჩეული კანდიდატებისთვის შექმნილია ტრენინგ-მოდული შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ; მოდული ინტეგრირებულია სტაჟიორთა მოსამზადებელ სასწავლო კურსში.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	შშმ პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის საკითხები ინტეგრირებულია პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსში.			
აქტივობა 1.1.4.	„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების ინტეგრირება ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი

	„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითება ინტეგრირებულია ოჯახური დანაშაულების, სქესობროვი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში	**ადმინისტრაციული ხარჯი**		
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითება ინტეგრირებულია ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში.			
ამოცანა 1.2.	შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2020) პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითება „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2021)** პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების მხრიდან შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში სახელმძღვანელო მითითების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია	**შესრულების პროგრესი: შესრულდა** პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების მხრიდან შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში სახელმძღვანელო მითითების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია.[1]	

[1] https://pog.gov.ge/uploads/c4be9c63-shshm-pirTa-analizi-2021-qarTulad.pdf

	2020 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით ისარგებლა 6-მა შშმ პირმა	შშმ პირების მხრიდან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით სარგებლობის პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია	**შესრულების პროგრესი: შესრულდა** 2021 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 18-მა შშმ პირმა.
	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის	**შესრულების პროგრესი: შესრულების პროცესშია** საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი შშმ პირთათვის ადაპტირებულია ნაწილობრივ. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ადაპტირების გაუმჯობესებაზე მუშაობა.

აქტივობა 1.2.1.	„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი ჩატარებულია	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2021 წლის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებისა და პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგს. შესაბამისად, მომზადდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. შესწავლილ იქნა შშმ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის 80 სისხლის სამართლის საქმე და გაანალიზდა საპროცესო დოკუმენტები; მონიტორინგის ასპექტები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: შშმ დაზარალებულის შეზღუდვისა და სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და გათვალისწინება; გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვა შშმ პირის მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის			

<table>
<tr><td></td><td colspan="4">საქმეში; შშმ პირის მიმართ ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. შესწავლილ იქნა ოჯახური და არაოჯახური შემთხვევები, ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულის და დაზარალებულების პერსონალური მახასიათებლები, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეები, დისკრიმინაციის ნიშანი შშმ პირების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტებში და სხვ. ანალიზი შეიცავს ინფორმაციას შშმ პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ტენდენციებისა და გამოწვევების, ასევე საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმების თაობაზე შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[2] და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.2.</td><td colspan="4">შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის გაზრდა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
გაზრდილია შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობისა და შშმ პირების მხრიდან კოორდინატორის სამსახურით სარგებლობის მაჩვენებელი</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2021 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 18-მა შშმ პირმა, რაც 2020 წლის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 300%-ით.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.3.</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
</table>

[2] https://pog.gov.ge/uploads/c4be9c63-shshm-pirTa-analizi-2021-qarTulad.pdf
https://pog.gov.ge/uploads/5546e2d9-Analysis-of-the-Criminal-Cases-of-Violence-against-Persons-w.pdf

	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის	ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულების პროცესშია**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი შშმ პირთათვის ადაპტირებულია ნაწილობრივ. ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურებთან. 2021 წელს საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მხარდაჭერით, გაეროს უნივერსიტეტის ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის ოპერაციული დეპარტამენტის (UNU-EGOV) მიერ ჩატარდა კვლევა, რომელშიც გაანალიზებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ვებ მისაწვდომობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ანგარიში ითვალისწინებს შშმ პირების ვებ მისაწვდომობის სტანდარტის შესახებ რეკომენდაციებს და საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებ გვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ საქართველოს კანონის პროექტს. აღნიშნული სტანდარტის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს პროკურატურა აქტიურად განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთათვის პროკურატურის ვებ გვერდის ადაპტირების გაუმჯობესებაზე.			
ამოცანა 1.3.	შშმ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2020) მოქმედი სახელმძღვანელო მითითება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე არ ითვალისწინებს შშმ არასრულწლოვნებთან ურთიერთობების სტანდარტს	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2021)** სახელმძღვანელო მითითებები სისხლის სამართლის პროცესში შშმ არასრულწლოვანთან მუშაობის სტანდარტების და მეთოდიკის შესახებ შემუშავებული და დანერგილია	**შესრულების პროგრესი: შესრულდა** შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის მომზადდა, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის ბრძანებით დამტკიცდა და უწყებაში გავრცელდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა“.	

აქტივობა 1.3.1.	შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის პრინციპებისა და მეთოდიკის თაობაზე სახელმძღვანელო მითითების შემუშავება /გავრცელება პროკურატურის სისტემაში			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შემუშავებული და გავრცელებულია სახელმძღვანელო მითითება შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის პრინციპებისა და მეთოდიკის თაობაზე	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის მომზადდა, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის ბრძანებით დამტკიცდა და უყებაში გავრცელდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების და მეთოდიკის“ თაობაზე. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითება ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სპეციფიკას, გამომძიებლისა და პროკურორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების, ასევე საგამოძიებო ტექნიკების იმგვარად გამოყენების პოლიტიკას, რაც არასრულწლოვანი შშმ პირების ინტერესების ეფექტიან დაცვას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და გონივრული მისადაგების პრინციპს უზრუნველყოფს.			
აქტივობა 1.3.2.	შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის თემაზე შემუშავებული სახელმძღვანელო მითითების ინტეგრირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების,	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი

	შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში ინტეგრირებულია შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის ერთიანი სტანდარტისა და მეთოდიკის შესახებ სახელმძღვანელო მითითება.	ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების და მეთოდიკის“ თაობაზე სახელმძღვანელო მითითება ინტეგრირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში.			
მიზანი 2.	**შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და დისკრიმინაციისაგან დაცვა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება**			
ამოცანა 2.1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2020) შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2021):**	**შესრულების პროგრესი: შესრულდა**	

	სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ; დაზარალებულად ცნობილია 5 შშმ პირი;	შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი გაზრდილია; დაზარალებულ შშმ პირთა მაჩვენებელი გაზრდილია;	2021 წელს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 67 პირის მიმართ, მათ შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით 12 პირის მიმართ; დაზარალებულად ცნობილია 81 შშმ პირი, მათ შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით 12 შშმ პირი[3];
აქტივობა 2.1.1.	შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციის ნიშნით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ (სსკ-ის 53[1] მუხლის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ) რეკომენდაციის განახლება და პროკურატურის სისტემაში გავრცელება;		
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციის ნიშნით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ (სსკ-ის 53[1] მუხლის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ) რეკომენდაცია განახლებულია და გავრცელებულია სისტემაში;	**დაფინანსების წყარო**	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			

[3] https://pog.gov.ge/uploads/c4be9c63-shshm-pirTa-analizi-2021-qarTulad.pdf, 14

შესრულების პროგრესი	**შესრულების პროცესშია**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავდა და დამტკიცდა ორი სახელმძღვანელო მითითება: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა. სსკ-ის 53[1] მუხლის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო მითითების განახლებაზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა 2021 წელს, საბოლოო განახლება დაგეგმილია 2022 წლისთვის.			
აქტივობა 2.1.2.	შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
			დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			

<table>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში - „დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა“ სპეციალიზებული პროკურორებისა და მოსამართლეების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებმა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ძირითადი ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უწყებათაშორის თანამშრომლობასა და მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა ერთობლივი სამუშაო შეხვედრების მნიშვნელობას, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის საჭირო მოსაზრებების გაზიარებას, საერთო მიმართულებების დასახვას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან ეფექტიან ბრძოლას. [4]</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.3.</td><td colspan="4">სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და შშმ თემის მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td rowspan="2">დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2021 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს შშმ თემის წარმომადგენლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან.</td></tr>
</table>

[4] https://pog.gov.ge/news/diskriminaciis-nishniT-sheuwynareblobis-motiviT-chadenil-danashaulebze-specializebuli-prokurorebis-d

	შეხვედრის ფარგლებში პროკურორებმა წარადგინეს შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ არსებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები. ამასთან, განიხილეს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და არსებული გამოწვევები. პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებას, რომლის მიზანს დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, შშმ თემის წარმომადგენლების მხრიდან პოზიტიური შეფასება და შემდგომი თანამშრომლობის მზაობა მოჰყვა.[5]

დასკვნითი დებულებები

კოვიდ 19-ის პანდემიით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, საქართველოს პროკურატურამ ჯეროვნად შეასრულა ოთხი ამოცანა, რომლის ფარგლებში „სრულად“ შესრულდა 10 აქტივობა, ხოლო „შესრულების პროცესშია“ 2 აქტივობა.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია შშმ პირების თანასწორუფლებიანი და სრულფასოვანი მონაწილეობა მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ეფექტიანი სისხლის სამართალწარმოების უზრუნველყოფის მიზნით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დადგენილია ვალდებულება, 2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ შესაბამისი

[5] https://pog.gov.ge/news/generalur-prokuraturashi-saqarTvelos-saxalxo-damcvelTan-arsebul-shshm-pirTa-uflebebis-konvenciis-pop

მუხლებით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმები, მათთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების მითითებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებას და გენერალურ პროკურორს დასამტკიცებლად წარუდგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას“ 2022 წლისთვის. აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.